MES 3 23 0001179050

18/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის" მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სიღნაღის მიუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლია
მანანა გოჩიტაშვილი-სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლა
მიხეილ გიორგაძე-სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა
გიული შენგელია-სკოლის დირექტორი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა
სალომე სარალიძე-სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა
მაია დაბრუნდაშვილი-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა კობიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ციცინო მექოშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ ქუთაისი N30 საჯარო სკოლა
ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ცინდელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე გელაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი); გ) თამარ ჩხიკვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხატია ჭალიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა

ა) დავით ლიპარტელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ცნობილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ხატიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა

ა) ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ჯაფარიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე - ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **სსიპ - სიღნაღის მიუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა**
2. **სსიპ - ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**
3. **სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**
4. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შე სახებ საკითხის განხილვა.**
5. **სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.**სსიპ - სიღნაღის მიუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ- სიღნაღის მიუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა, სიღნაღის მინუციპალიტეტში, სოფელ ბოდბეში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 90 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა შეუსაბამოდ მიიჩნიეს გარკვეული სტანდარტები, ხოლო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შემდეგნაირად შეიცვალა: პირველი სტანდარტის, 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც სტანდარტთან მეტწილად შესაბამისი.
რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო

თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: 3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება; 3.2. პერსონალის განვითარება-მეტწილად შეესაბამება; 3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შეესაბამება; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- შეესაბამება; 3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება; 3.7. ფინანსური რესურსები- შეესაბამება
ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
ექსპერტის განმარტებით, მეორე სტანდარტი, სასკოლო კურიკულუმი, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: 2.1. კურიკულუმის შემუშავება - შეესაბამება; 2.2. კურიკულუმის განხორციელება-მეტწილად შესაბამისი; 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება - შეესაბამება; 2.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება- შეესაბამება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის განმარტებით, ასევე, რეკომენდაცია გაიცა მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან მიმართებით, სკოლას უნდა უზრუნველეყო სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის საფუძველზე.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. სკოლა განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. სკოლაში იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული სასკოლო გარე და შიდა ინფრასტრუქტურა. სკოლაში იყო სტანდარტთან შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და სპორტული მოედანი, როგორც გარე ასევე შიდა. შიდა მოედნისთვის სკოლას გამოყოფილი ჰქონდა შესაბამისი სივრცე, სადაც უამინდობის დროს ტარდებოდა სპორტული გაკვეთილები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა კითხვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა აეხსნა რამდენად უშლიდა ხელს ლაბორატორიის გაუმართაობა სწავლა-სწავლების პროცესს და დაიწყო თუ არა სკოლამ ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ციცინო მექოშვილმა აღნიშნა, რომ თვალსაჩინოებები და მოსწავლეთა მიერ დამზადებული მოდელები ნამდვილად იყო ლაბორატორიაში, თუმცა სწავლა-სწავლების წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო იყო სხვადასხვა აღჭურვილობა.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლას მიმართა კითხვით, თუ რით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ მათ ამ დრომდე არ ჰქონდათ ის საჭირო დოკუმენტები, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მარინა გოჩიტაშვილმა, განაცხადა რომ ვიზიტის დროს და მას შემდეგაც აქტიურად მუშაობდნენ ამ დოკუმენტებზე. რიგი დოკუმენტებისა უკვე მიღებული და შემუშავებული ჰქონდათ. მათ შორისა იყო დოკუმენტი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. რაც შეეხებოდა კითხვას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მიმართვა გაკეთებული საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით და ელოდნენ დადასტურებას,

თუმცა იქამდე ისინი აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა თვალსაჩინოებებს გაკვეთილის სრულყოფილად წარმართვისთვის.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა აეხსნა რას წამოადგენდა მათ მიერ წარმოდგენილი და ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „ბავშვთა უფლებების კოდექსი“. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესები მოარგეს საკუთარი სკოლის შიდა რეგულაციებს, რაზეც საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ განმარტება, რომ ეს საკითხი ბუნდოვანი იყო და საჭიროებდა გადახედვას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა აეხსნათ, თუ რატომ იყო ზოგიერთი საგნის კურიკულუმი სრულად შევსებული და რატომ იყო ზოგიერთი მათგანი ინფორმაციის გარეშე და ასევე რატომ არ ჰქონდათ გაცემული მათ აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაცია. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნანა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, ვიზიტების დროს, მათ დააზუსტეს ეს საკითხები და აღმოჩნდა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მათ სხვა აქტივობების პარალელურად ვერ მოახერხეს კურიკულუმების სრულად გაწერა და ექსპერტების მიმართ წარდგენა, თუმცა, ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მზაობა, რომ სკოლა შეიმუშავებდა კურიკულუმებს სხვადასხვა საგანში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რომელიც ეხებოდა დოკუმენტაციის შემუშავებას. მან აღნიშნა, რომ სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში პირველ სტანდარტთან მიმართებით ეწერა, რომ თავდაპირველად მუშაობდნენ მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, შემდეგ ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე და და ბოლოს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე, რაც როგორც წესი პირიქით უნდა ყოფილიყო. კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რა პრინციპით ახდენდა სკოლა მეთოდოლოგიის შემუშავებას.
სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ მუშაობდნენ მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, ხოლო შემდეგ მიუბრუნდებოდნენ ერთწლიან სამოქმედო გეგმას ცვლილებების განხორციელების საჭიროებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მიუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლას (ს/კ: 240412781) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს

90 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1.)

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი სრულად.

2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას. რადგან, აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრობლობდა ზოგადი განათლევის რეფორმის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ქუთაისში მუსხულიშელიშვილის IV შესახვევში, N1-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1600 მოსწავლე.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე შეიცვალა. აღნიშნული შეფასებები წარმოდგენილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, კერძოდ, პირველი სტანდარტის კომპონენტი 1.1-შეესაბამება, 1.2. მეტწილად შეესაბამება, მესამე სტანდარტი-ნაწილობრივ შეესაბამება, კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5, 3.6, 3,7 მეტწილად შესაბამისი, 3.2 და 3.3 სრულად შესაბამისი, მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი სრულად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ნანა ედიშერაშვილმა ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გამართული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა იყო თანამშრომლობითი კულტურის მქონდე საგანმანათლებლო ორგანიზაცია და ამასთან იგი გამოსცემდა 1 სამეცნიერო ჟურნალს „მომავლის ჰორიზონტი“. ექსპერტმა, ასევე, წარადგინა სკოლის გარე და შიდა ფასადის ამსახველი ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა განემარტა მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, მეშვიდე კლასის მასწავლებელთა შეხვედრის ოქმში აღწერილი გარემოება. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად ჰქონდა უფლებამოსილება მსგავს მასწავლებელთა შეხვედრას გადაეწყვიტა დაენიშნა თუ არა სკოლას მოსწავლისთვის სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგთან შეხვედრები.
სკოლის დირექტორმა, მიხეილ გიორგაძემ უპასუხა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ წარმოდგენილი დასკვნა იგვიანებდა და სჭირდებოდა გარკვეული დრო, ამას ემატებოდა რიგ შემთხვევებში ისიც, რომ მშობელი არ აღიარებდა მოსწავლის სპეციალურ საჭიროებებს, ამიტომ იგი ფიქრობდა, რომ მას გააჩნდა საკმარისი გამოცდილება რჩევის სახით ეთხოვა სპეციალური მასწავლებლისთვის დახმარებოდა მოსწავლეს, რათა არ შექმნოდა პრობლემები სასწავლო პროცესში.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს აპირებდნენ თუ არა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ვებ-გვერდის გამოყენებას თუ გააგრძელებდნენ თავად შექმნილი ვებ-გვერდით სარგებლობას, რომელიც გარკვეულ უზუსტობებს შეიცავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ სკოლა აპირებდა არსებული ვებ-გვერდის დახვეწასაც.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა აეხსნა რამდენად მოახდინეს მათემატიკის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და დაინახეს თუ არა კავშირი მათ შორის.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მზია დადვანმა აღნიშნა, რომ გასაუბრებების დროს მასწავლებლებმა დაწვრილებით ახსნეს დეტალები მოცემული დოკუმენტების შესახებ. ასევე, ექსპერტმა დასძინა, რომ მათ გასცეს გარკვეული რჩევები და რეკომენდაციებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა აეხსნა რაში მდგომარეობდა გარკვეული აცდენები ეროვნული სასწავლო გეგმის თემებსა და წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა მანგოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა კურიკულუმები მხოლოდ ერთი თემის ფარგლებში. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდებოდა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, მათ მოუწევდათ აღნიშნულის მიხედვით თემების გადანაცვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა მზად იყო მიეღო 1720 მოსწავლე. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მატება გამოწვეული იყო პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთა გაზრდილი მოთხოვნით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, ნანა ედიშერაშვილსა და სკოლის დირექტორს, სთხოვა აეხსნათ იყო თუ არა სკოლა მზად მიეღო მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა და შესაბამისი საგანმანთლებლო მომსახურეობა გაეწია მათთვის.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო 28 საკლასო ოთახი და სკოლა საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა ორ ცვლაში.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ერთ ცვლაში 850 მოსწავლემდე სწავლობდა. ასევე, მან აღნიშნა, რომ პირველკლასელთა გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, აპირებდა თუ არა ის დამატებითი კადრის აყვანას, კერძოდ, ეს ეხებოდა დირექტორის მეორე მოადგილეს და მეორე ექიმს. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ის ნამდვილად შეათანხმებდა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან აღნიშნულ საკითხს და შემდეგ კონკურსის წესით აეყვანა შესაბამის კადრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისი N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1720-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N30 საჯარო სკოლა (ს/კ: 212706222) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1720 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი სრულად და მესამე სტანდარტის 3.1; 3.4; 3.5 და 3.6 კომპონენტები.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ თბილისში ლიბანის ქუჩა N22-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1300 მოსწავლე.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა შეუსაბამობად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა: პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტი სრულად შესაბამისი, მესამე სტანდარტის 3.1, 3.4., 3.5, 3.6, 3.7 კომპონენტები მეტწილად შესაბამისი, მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი სრულად შესაბამისი, სამივე საფეხურის მეორე სტანდარტის 2.1 და 2.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა მზად იყო მიეღო 1600 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა აეხსნა, იყო თუ არა სკოლა მზად მიეღო მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა ორ ცვლაში. პირველ ცვლაში სკოლას ჰყავდა 850 მოსწავლე. ასევე, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლა იყო საკმაოდ მოთხოვნადი, გეგმავდნენ 1600 მოსწავლის მიღების.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხით. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი იყო მნიშვნელოვანი და საჭიროებდა დეტალურ განხილვას, კერძოდ, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა გარკვეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განხორციელებულიყო. თუ მოსწავლეთა რაოდენობის ორმაგი მოთხოვნა იყო ორ ცვლაში გათვალისწინებული, მოსწავლეებს არ დარჩებოდათ სივრცე მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განსახორციელებლად, ამიტომ სკოლას უნდა განესაზღვრა რამდენად შეძლებდა ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელებას.
აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარემ. დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლა ვერ შეძლებდა მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას, მაგალითად, პროექტული სწავლების განხორციელებას, კლუბებისა და სხვადასხვა წრეების ფუნქციონირებას. ამ საკითხთან მიმართებით, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მათი

სკოლის ახლომდებარე სკოლას უტარდებოდა რეაბილიტაცია, რის გამოც გაიზარდა მოთხოვნა აღნიშნულ სკოლაზე, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. მან იმედი გამოთქვა, რომ მეზობელი სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ, მოსწავლეები დაუბრუნდებოდნენ საკუთარ სკოლას და განიტვირთებოდა აღნიშნული სკოლა. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას, მეორე ცვლაში ჰქონდა საკმარისი საკლასო ოთახები იმისთვის, რომ განეხორციელებინა მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა და კითხვით მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ესპერტს, სკოლა მუშაობდა თუ არა კვლევით-ექსპერიმენტული კუთხით, რამდენად აქტიურები იყვნენ ამ მხრივ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ძლიერი გუნდი იყო, ჰქონდათ მრავალი ტრენინგი გავლილი, რომელსაც იყენებდნენ საგაკვეთილო პროცესში. სკოლას არ ჰქონდა გამოყოფილი სხვადასხვა საგნის ლაბორატორიები ერთმანეთისგან, ფართის არ ქონის გამო. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ აუცილებლად უნდა გამოეყოთ სივრცე, სადაც მოსწავლეები შეძლებდნენ ექსპერიმენტების ჩატარებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგანში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472649) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N3).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 7 და 8 ივნისს. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ცისფერყანწელების ქ.N6 /რუსთაველის გამზირი N9-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ექსპერტის განმარტებით, სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 2400 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, აღსანიშნავი იყო სკოლის მისწრაფება და გადადგმული ნაბიჯები გერმანული ენის სწავლების გაძლიერებისაკენ, რის გამოც ის თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. სკოლას მოპოვებული ჰქონდა ,,FIT" სტატუსი და გადასული იყო გაძლიერებული სტატუსის „DSD" სკოლის რანგში.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილზე, წარმოადგინა ფოტო-მასალის სახით.
ექსპერტის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა: პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები-მეტწილად შესაბამისი, მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.5, 3.6 , 3.7 მეტწილად შესაბამისი, მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი შესაბამისი, სამივე საფეხურის მეორე სტანდარტის კომპონენტის 2.2 -მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც დეტალურად იყო გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იჯარასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ, სადაც იკვეთებოდა შეცდომა. სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ნებართვა ჰქონდა მოპოვებული 2022 წლის 13 სექტემბერს, სადაც ითხოვდა 3 წლიან ვადას, ხოლო ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ისევ 3 წლით უდებდა ხელშეკრულებას სკოლა მოიჯარეს,

რაც არ იყო სწორი. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა, ატარებდა, თუ არა სკოლა საიჯარო ფრთის ინვენტარიზაციას იჯარით გაცემამდე. სკოლის დირექტორმა, სალომე სარალიძემ განაცხადა, რომ შეისწავლიდა აღნიშნულ დოკუმენტაციას, სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზი იყო დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაში. რაც შეეხებოდა ინვენტარიზაციის საკითხს, სკოლის დირექტორის თქმით, ინვენტარიზაცია ტარდებოდა იჯარის გადაცემის წინ და შემდეგაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 212708042) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი სრულად,

მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5, 3.6 და 3.7 კომპონენტები.

5. სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ
  განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას. რადგან, აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრობლობდა ზოგადი განათლევის რეფორმის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. კასპში, ტაპიძის ქ. N13-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 750 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა სტანდარტებთან შეუსაბამობად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებებიც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. ექსპერტის განმარტებით, პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილად, სამივე საფეხურის მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად, მესამე სტანდარტის 3.1, 3.2, 3.3, 3.4 და 3.6 კომპონენტები ასევე იყო მეტწილად შეფასებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც დეტალურად იყო აღწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილზე. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება განთავსებული იყო სამსართულიან ახლად აშენებულ შენობაში. სკოლა აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიებით, შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა და კითხვით მიმართა ექსპერტებს, მოეყვანათ კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ცდილობდა სკოლა მასწავლებელთა კარიერული წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობას. ექსპერტის, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, სკოლაში ჩამოყალიბებული იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, ინტერვიუირების დროს გაირკვა, თუ როგორ ცდილობდნენ ერთად დაეგეგმათ მასწავლებლებს სასწავლო პროცესი, იკვეთებოდა გამოცდილების გაზიარებისა და კათედრებს შორის გუნდური მუშაობის პრაქტიკა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტებს მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა რაიმე მექანიზმი, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებებს დაადასტურებდა. ექსპერტმა

განაცხადა, რომ სკოლაში არსებობდა შიდა შეფასების ჯგუფი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა გაკვეთილზე დასწრების ბარათები, სადაც ასახული იყო გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირები, რომლითაც ხდებოდა პროფესიული განვითარება.
საბოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა მოსწავლეთა მხარდაჭერის, მათი ინიციატივების წარმოჩენა-განვითარების საკითხით, თუ რა პრაქტიკა არსებობდა სკოლაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებები, სადაც ნათლად ჩანდა მოსწავლეთა ინიციატივების გამოვლენა. ასევე, სკოლა გეგმავდა მოსწავლეთა არაფორმალური განათლების გაძლიერებას.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, სკოლის მიერ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში დაფიქსირებული შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობის შესახებ. კერძოდ, მე-8 კლასში, საგან მოქალაქეობაში არ ჰქონდათ მითითებული შემაჯამებლების რაოდენობა. ასევე, საგანი სამოქალაქო უსაფრთხოება აღარ ისწავლებოდა, რაც ისევ იყო აღნიშნული ახალ კურიკულუმში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყო პროექტის სახით და ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სრულყოფილი სახე. ხოლო, რაც შეეხებოდა კითხვას, თუ რატომ ეწერა საგანი სამოქალაქო უსაფრთხოება, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს, რას აუცილებლად აღმოიფხვრებოდა..
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გარდა მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა სხვა პერსონალთა პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის ბუღალტერი ყოველწლიურად გადიოდა ტრენინგებს, რაც სკოლის დაფინანსებით ხორციელდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯაროსკოლას (ს/კ: 232579974) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N5).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი სრულად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა